

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №486

2017 წლის 30 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3

1. პროგრამით მოსარგებლე პირების იდენტიფიცირების უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა მიიღოს საჭირო ზომები საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებში არსებულ ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლე პირთა შესახებ ინფორმაციაზე სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს შეუფერხებელი წვდომისათვის. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს დაზღვევით მოსარგებლე პირის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, პირად ნომერს, დაზღვევის დასაწყისს, დაზღვევის დასასრულს, დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის თარიღს, დამზღვევს (საბიუჯეტო – დამზღვევი, რომელიც ახორციელებს დაზღვევას საბიუჯეტო სახსრებით; არასაბიუჯეტო), სადაზღვევო კომპანიას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთშეთანხმებული ფორმატით პროგრამის ადმინისტრირების მიზნებისთვის საჭირო სხვა აუცილებელ მონაცემს.

2. პროგრამით გათვალისწინებულ მოსარგებლე პირთათვის პროგრამით დადგენილი პირობების დამატებით ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების გაწევისა და ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში ასანაზღაურებელი ოდენობის გაანგარიშების მიზნით, საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებს მიეცეთ წვდომა პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიისა და სადაზღვევო კომპანიის (სადაც დაზღვეულია მოსარგებლე) შესახებ ინფორმაციაზე. პროგრამის განმახორციელებლის მიერ, ურთიერთშეთანხმებული ფორმატით, უზრუნველყოფილ იქნეს სადაზღვევო კომპანიების წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე.

3. სამედიცინო დაწესებულებების მიერ გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების ეფექტურად მართვის მიზნით, პროგრამის განმახორციელებლის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულებების წვდომა მოსარგებლე პირების კატეგორიის, აგრეთვე, კერძო დაზღვევის არსებობის შემთხვევაში – სადაზღვევო კომპანიის შესახებ ინფორმაციაზე.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა):

ა) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) 2018 წლის 1 იანვრიდან თვითმმართველ ქალაქებში – ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც ფლობს სტაციონარული დაწესებულების ნებართვასა და სანებართვო დანართებს საქმიანობებში: „რეანიმაციული მომსახურება“ და „გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (EMERGENCY).“;



ბ) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდება განმახორციელებლის მიერ გაცემული მატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის/თანხმობის წერილის საფუძველზე, პირის მოსარგებლედ ცნობისთვის საჭიროა, ინდივიდმა ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა შესაბამისი პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარადგინოს სამედიცინო საჭიროების დამადასტურებელი ცნობა (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა №IV-100/ა), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (18 წლამდე ასაკის მოქალაქეთა შემთხვევაში, დასაშვებია დაბადების მოწმობა) ასლი, ანგარიშფაქტურა, კალკულაცია (საჭიროების შემთხვევაში) ან ინდივიდმა მიმართოს პროგრამის/ქვეპროგრამის მიმწოდებელს. პირის მიერ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოსარგებლის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებლის ან მიმწოდებლის მიერ, სამედიცინო საჭიროების მიხედვით, სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში ივსება შესაბამისი ფორმის განაცხადი (რეკვიზიტები, სამედიცინო საჭიროების დამადასტურებელი ცნობა (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა №IV-100/ა), კალკულაცია). განაცხადის ფორმას განსაზღვრავს განმახორციელებელი.“;

გ) მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიმწოდებელი ვალდებულია, შემთხვევის (განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული კოდირების შესაბამისად) შესახებ შეტყობინება გააკეთოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა, განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდება განმახორციელებლის მიერ გაცემული მატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის/თანხმობის წერილის საფუძველზე, მიმწოდებელი ვალდებულია, დამატებით გააკეთოს შეტყობინება დაგეგმილი ჩარევის შესახებ ოპერაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 12 საათით ადრე, განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით.“;

დ) მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები ან შემთხვევის შესახებ ინფორმაცია არ ემთხვევა შეტყობინების სისტემაში მიწოდებულ შესაბამის ინფორმაციას (განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის წესის გათვალისწინებით) ან შემთხვევის შესახებ შეტყობინების დაფიქსირების დროს დარღვეულია ამ დანართის მე-11 მუხლის პირველი და 1¹ პუნქტებით განსაზღვრული პირობები ან სახეზეა მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება ან სტაციონარული სამედიცინო მომსახურებისას პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნება 24 საათზე ნაკლებია (გარდა პროგრამით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა), ასეთი შემთხვევები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.“;

ე) მე-15 მუხლის:

ე.ა) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შემთხვევებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას, ფორმდება განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის ოქმი, რომლის ერთი ეგზემპლარი ეძლევა მიმწოდებელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება განმახორციელებელთან. შემთხვევ(ებ)ის ანაზღაურებაზე უარის თქმის წერილობითი გადაწყვეტილება გამოიცემა ამ პუნქტით გათვალისწინებული ოქმის მიმწოდებლისათვის გაცნობიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.“;

ე.ბ) მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თუ პაციენტი თავისი სურვილით შეიცვლის/დატოვებს მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას და მისი დაყოვნება აღნიშნულ დაწესებულებაში 24 საათზე ნაკლებია, მომსახურების დაფინანსება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ განხორციელდება, ხოლო მეორე დაწესებულებაში გაწეული მომსახურების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ამავე დადგენილების შესაბამისად“;



ვ) მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 23-ე პუნქტი:

„23. თუ ზედამხედველობის მონიტორინგის ეტაპზე აღმოჩნდება, რომ ვაუჩერის მფლობელი და პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ფაქტობრივად მიმღები სხვადასხვა პიროვნება ან მომსახურების მიმღები პიროვნება დაწესებულებაში არ იმყოფებოდა ან სტაციონარული შემთხვევების დროს არ მტკიცდება მოსარგებლის დაწესებულებაში 24 საათზე მეტი დროით მოთავსება, გარდა პროგრამით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, 1 კალენდარული წლის განმავლობაში ამ ტიპის დარღვევის მეორეჯერ დაფიქსირების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ბოლო 12 თვის განმავლობაში შესაბამის კომპონენტში მიღებული თანხის 20%-ის ოდენობით. ამასთან, ერთი მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ორი ასეთი შემთხვევა ჩაითვლება აღნიშნული ჯარიმის საფუძვლად.“;

ზ) 22-ე მუხლის:

ზ.ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესით წარდგენილი ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს პროგრამული შემთხვევის დასაწყისიდან მის დასრულებამდე სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტისთვის აღმოჩენილ ყველა სამედიცინო აუცილებლობით განპირობებულ ჩარევას, მათ შორის, გაუტკივარების, გამოყენებული მედიკამენტების, სხვა სამკურნალო თუ სახარჯი მასალისა და ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ღირებულებას, პოსტანესთეზიური მოვლისა და ინტენსიური მკურნალობის/მოვლის განყოფილებაში პაციენტის დაყოვნების გათვალისწინებით, როდესაც პაციენტები იმყოფებიან ერთი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის უკმარისობის განვითარების რისკის ქვეშ და ვიტალური ფუნქციების მოსალოდნელი გაუარესების გამო საჭიროებენ მუდმივ ინტენსიურ მეთვალყურეობასა და ფარმაკოლოგიურ ან/და მინიმალურ აპარატურულ მხარდაჭერას.“;

ზ.ბ) 7¹ და 7² პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7¹. №1.2 დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით (კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია) განსაზღვრული მომსახურების (მ.შ. კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპიის საწოლებზე უწყვეტად 14, 21 და 45 დღის შემდეგ დაყოვნება, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია და სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმა) ანაზღაურება ხდება ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს №1.2 დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტარიფისა, რომელიც გამოთვლილია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ წარდგენილი ტარიფების გასაშუალოებული სიდიდის შესაბამისად. ამასთან, კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპიის საწოლებზე უწყვეტად 14, 21 და 45 დღის შემდეგ დაყოვნების ტარიფები გამოთვლილია მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ ბოლო 1 წლის განმავლობაში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით.“;

7². №1.2 დანართის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაუდებელი მდგომარეობების (გარდა გადაუდებელი თერაპიისა) მომსახურების ანაზღაურება ხდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული ტარიფისა, რომელიც გამოთვლილია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ წარდგენილი ტარიფების მედიანას მიხედვით.“;

ზ.გ) 7² პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7³ პუნქტი:

„7³. №1.2 დანართის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების (გადაუდებელი თერაპია), №1.3 დანართის პირველი პუნქტის „გ.ა.ბ“ და მე-2 პუნქტის „გ.ა.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული (გადაუდებელი თერაპია (გარდა ინფექციური დაავადებებისა)) ანაზღაურება ხდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს №1.2-ის დანართის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცხრილის 24-ე ქვეპუნქტით განსაზღვრული ტარიფისა, რომელიც გამოთვლილია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ წარდგენილი ტარიფების გასაშუალოებული სიდიდის შესაბამისად, ნოზოლოგიურ კოდებზე ბოლო 1 წლის განმავლობაში საშუალო დაყოვნების გათვალისწინებით.“;



თ) 23-ე მუხლის:

თ.ა) 4¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4¹. 2014 წლის 1 აპრილიდან პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებმა 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმური ამბულატორიული მომსახურებისათვის ახალი მოსარგებლების რეგისტრაცია უნდა განახორციელონ სპეციალური სააღრიცხვო (მკაცრი აღრიცხვის) დოკუმენტით (მოსარგებლის თანხმობის ფორმა), რომლის ფორმასა და გამოყენების წესს ამტკიცებს სამინისტრო, ხოლო 2014 წლის 1 აპრილამდე დარეგისტრირებული მოსარგებლების მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტით ხელახალი რეგისტრაცია უნდა დასრულდეს 2018 წლის 1 აპრილამდე. ამასთან, მოსარგებლის თანხმობის ფორმის ბეჭდვას, ტირაჟირებას, აღრიცხვასა და სამედიცინო დაწესებულებებისათვის უსასყიდლო გადაცემას უზრუნველყოფს განმახორციელებელი.“;

თ.ბ) 32⁵ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 32⁶ პუნქტი:

„32⁶. თუ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს დანართ №1-ის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, 2018 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამდგარი გადაუდებელი სტაციონარული შემთხვევები, რომელიც დასრულდა ან გრძელდება 2018 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში, დასრულდეს პროგრამის ფარგლებში იმავე დაწესებულებაში.“;

თ.გ) 44-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 45-ე და 46-ე პუნქტები:

„45. თუ მიმწოდებელი დაწესებულება 2017 წლის 1 აპრილიდან ყოველი მომდევნო საანგარიშო 6 თვის განმავლობაში მინიმუმ 3 თვის მონაცემებით არ აკმაყოფილებს ამ დადგენილების დანართ №1-ის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, განმახორციელებელი ვალდებულია, დაწესებულებას შესაბამისი კომპონენტის ფარგლებში აღნიშნული საანგარიშო 6 თვის დასრულებიდან მომდევნო 1 წლით შეუწყვიტოს მიმწოდებლის სტატუსი.

46. სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც ამ მუხლის 45-ე პუნქტის თანახმად შეუჩერდა მიმწოდებლის სტატუსი, უფლებამოსილია, მიმართოს განმახორციელებელს მიმწოდებლის სტატუსის აღდგენის თაობაზე შესაბამისი განცხადებით. განმახორციელებელი ვალდებულია, დაწესებულებას განცხადებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღეში აღუდგინოს მიმწოდებლის სტატუსი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართ №1.1-ის (სამედიცინო მომსახურების პირობები ამ დადგენილების დანართ №1-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის) პირველი პუნქტის „ბ.ა¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა¹) ამ პუნქტის „ბ.ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა დანართ №1-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტითა და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ.ა“ და „ა.დ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლებისთვის გაწეული მომსახურებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს;“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართ №1.2-ის (გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების პირობები) მე-2 პუნქტი - „გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება:

ა) კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია:

№	დასახელება	განმარტება
		ინტენსიური მკურნალობა/მოვლა პაციენტებისთვის, რომლებიც ვიტალური ფუნქციების მოსალოდნელი გაუარესების გამო, საჭიროებენ მუდმივ ინტენსიურ მეთვალყურეობას და ფარმაკოლოგიურ ან/და მინიმალურ აპარატურულ მხარდაჭერას ან/და თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიას**.



1	I დონის ინტენსიური მკურნალობა/ მოვლა	ეს პაციენტები იმყოფებიან ერთი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის უკმარისობის განვითარების რისკის ქვეშ, მათ შორის, არიან პაციენტები, რომელთაც მოუხსნათ ერთი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, მაგრამ მათი მდგომარეობა ჯერ კიდევ არასტაბილურია. ამასთან, ამ სტანდარტის ფარგლებში, განხილულია მხოლოდ „I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის დაზუსტება“ – ფორმაში მოცემული ნოზოლოგიების ჩამონათვალი და არ ითვალისწინებს პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში 24 საათზე ნაკლები დროით დაყოვნებას.
2	II-III დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლა	ინტენსიური მკურნალობა/მოვლა პაციენტებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ: 1. ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა (გარდა თირკმლის მწვავე უკმარისობისა, რომელიც საჭიროებს მხოლოდ თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიას) და საჭიროებენ ფარმაკოლოგიურ და ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მართვითი სუნთქვა). 2. 2 ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, საჭიროებენ 2 ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია**) და/ან 3. ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, საჭიროებენ ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია**) და პარენტერალურ კვებას და/ან 4. ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა და ნოზოკომიური ინფექცია, საჭიროებენ ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია**).
3	თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია	თირკმლის მწვავე უკმარისობის დროს, უშუალოდ დიალიზის ერთი სეანსის ღირებულება
4	სისხლი და სისხლის კომპონენტები	სისხლის და სისხლის კომპონენტების გადასხმის ერთი ტრანსფუზიის სრული ღირებულება
** უშუალოდ დიალიზის სეანსის ღირებულება არ არის გათვალისწინებული (იხ. №3 პუნქტი).		

I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის დაზუსტება			
	ICD 10 კოდი	ნოზოლოგიის დასახელება	დაზუსტება
1	E03.5	მიქსედემური კომა	
2	E10.0 E11.0	ინსულინდამოკიდებული / ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, კომით	
3	E10.1 E11.1	ინსულინდამოკიდებული / ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, კეტოაციდოზით	მძიმე დიაბეტური კეტოაციდოზი, ჰემოდინამიკური ან ნევროლოგიური დარღვევებით, რესპირატორული უკმარისობით ან მძიმე აციდოზით
4	E12.0	არასაკმარის კვებასთან დაკავშირებული შაქრიანი დიაბეტი, კომით	
5	E13.0	შაქრიანი დიაბეტის სხვა დაზუსტებული ფორმები, კომით	
6	E14.0	შაქრიანი დიაბეტი, დაუზუსტებელი, კომით	



7	R40	მილიანობა, სტუპორი და კომა	მხოლოდ ახლად აღმოცენებული
8	G04	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი	
9	G41	ეპილეფსიური სტატუსი	
10	G92	ტოქსიკური ენცეფალოპათია	ცნობიერების დარღვევა, გულყრა
11	G93.1	თავის ტვინის ანოქსიური დაზიანება, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	ცნობიერების დარღვევით
12	I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	ცნობიერების დარღვევით / დეროს ჰერნიაციის მაღალი რისკი ან მწვავე ინსულტი ცნობიერების შეცვლის გარეშე
13	I63	თავის ტვინის ინფარქტი	
14	S06	ინტრაკრანიალური ტრავმა	ცნობიერების დარღვევით
15	K72.0	ღვიძლის მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა	პორტოსისტემური ენცეფალოპათია, ფულმინანტური უკმარისობა
16	R57	შოკი	
17	T78.2	ანაფილაქსიური შოკი, დაუზუსტებელი	
18	T79.4	ტრავმული შოკი	
19	T80.5	შრატისმიერი ანაფილაქსიური შოკი	
20	T81.1	შოკი პროცედურის განმავლობაში ან მის შემდეგ, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	
21	A48.3	ტოქსიკური შოკის სინდრომი	
22	S27.7	გულმკერდის ღრუს ორგანოთა მრავლობითი ტრავმა	
23	S36.7	მუცლის ღრუს ორგანოების მრავლობითი ტრავმა	
24	T07	მრავლობითი ტრავმები, დაუზუსტებელი	
25	T29.0	სხვადასხვა მიდამოს თერმული დამწვრობა, დაუზუსტებელი ხარისხის	გართულებული შოკით
26	T75.4	ელექტრული დენის ზემოქმედება	
27	A41	სეპტიცემია	
28	D62	მწვავე პოსტჰემორაგიული ანემია	



29	D65	დისემინირებული სისხლპარღვმიდა შედედება [დეფიბრინაციული სინდრომი]	
30	R65	სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი	გარდა დანართი N1.2--ის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის 24-ე ქვეპუნქტში გათვალისწინებული მდგომარეობებისა
31	K65.0	მწვავე პერიტონიტი	
32	D59.3	ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი	მიმდინარე ჰემოლიზი, თირკმლის ფუნქციის დარღვევით
33	K91.2	პოსტოპერაციული მალაბსორბცია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	
34	J46	ასთმური სტატუსი (status asthmaticus)	
35	J80	მოზრდილთა რესპირაციული დისტრეს-სინდრომი	
36	J81	ფილტვის შეშუპება	
37	J96.0	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	
38	R09.2	სუნთქვის შეჩერება	
39	A05.1	ბოტულიზმი	
40	I26	ფილტვის (არტერიის) (ვენის) ემბოლია	მწვავე ფილტვისმიერი გულის დროს
41	A34	სამეანო ტეტანუსი	
42	A35	ტეტანუსის სხვა ფორმები	
43	R56.8	დაუდგენელი და სხვა კონვულსიები	სერიული გულყრები
44	O15	ეკლამპსია	
45	N17	თირკმელების მწვავე უკმარისობა	ურემიული ენცეფალოპათია, ჰიპერკალემია, აციდოზი, ჰემოსტაზის დარღვევა
46	N19	თირკმელების უკმარისობა, დაუზუსტებელი	ურემია
47	I46	გულის გაჩერება	
48	I50	გულის უკმარისობა (მწვავე)	
49	E27.2	ადისონური კრიზი	
50	E05.5	თიროიდული კრიზი ან შეტევა	



51	G00	ბაქტერიული მენინგიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	კრიტიკული მდგომარეობა – ცნობიერების დარღვევით, რესპირატორული უკმარისობით ან მენინგიტი შეცვლილი ცნობიერებით, რესპირატორული დარღვევების გარეშე
52	I21	მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	
53	I44	წინაგულ-პარკუჭოვანი (ატრიო-ვენტრიკულური) და ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადა	მხოლოდ გულის გაჩერების, ასისტოლის და ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვანი პაუზების დროს ან მკვეთრი, ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვანი ბრადიკარდიის დროს
54	I47	პაროქსიზმული ტაქიკარდია	ჰემოდინამიკის მძიმე დარღვევით
55	I48	წინაგულელების ფიბრილაცია და თრთოლვა	ჰემოდინამიკის მძიმე დარღვევით
56	I49.0	პარკუჭთა ციმციმი და თრთოლვა	ჰემოდინამიკის დარღვევა
57	I49.5	სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი	მხოლოდ გულის გაჩერების, ასისტოლის და ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვანი პაუზების დროს ან მკვეთრი, ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვანი ბრადიკარდია
58	J05.0	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი (კრუპი)	მძიმე სუნთქვის უკმარისობა, ცენტრალური ციანოზი, სატურაციის დაქვეითება ან სუნთქვის უკმარისობა, სტრიდორი მოსვენებულ მდგომარეობაში
59	J05.1	მწვავე ეპიგლოტიტი	მძიმე სუნთქვის უკმარისობა და ინტოქსიკაცია, ცენტრალური ციანოზი, სატურაციის დაქვეითება ან სუნთქვის უკმარისობა, სტრიდორი მოსვენებულ მდგომარეობაში, მკვეთრი სალივაცია
60	RO4.2	ჰემოპტიოზისი [სისხლის ამოხველება]	მასიური
61	N00	მწვავე ნეფრიტული სინდრომი	რენული ენცეფალოპათია, გულის შეგუბებითი უკმარისობა, თირკმლის მწვავე უკმარისობა ან არტერიული ჰიპერტენზია, შეშუპება, ოლიგურია, მაკროჰემატურია
62	N01	სწრაფადპროგრესირებადი ნეფრიტული სინდრომი	რენული ენცეფალოპათია, გულის შეგუბებითი უკმარისობა, თირკმლის ფუნქციის პროგრესირებადი დაქვეითება (ანურია) ან არტერიული ჰიპერტენზია, მასიური შეშუპება, ოლიგურია, თირკმლის ფუნქციის პროგრესირებადი დაქვეითება, ყველა სხვა შემთხვევა, რომელიც მოითხოვს იმუნოსუპრესიული თერაპიის დაუყოვნებლივ დაწყებას
63	N04	ნეფროზული სინდრომი	ანასარკით გამოწვეული ჰიპოვოლემიური შოკი, თრომბოემბოლიური გართულებები ან მასიური შეშუპება, ოლიგურია, თირკმლის პრერენული უკმარისობა
64	N18.5	თირკმელების ქრონიკული დაავადება, სტადია 5	კარდიული ასთმა, სიცოცხლისთვის საშიში ჰიპერკალემია და აციდოზი ან ურემიული ენცეფალოპათია, ჰიპერკალემია, აციდოზი, ჰემოსტაზის დარღვევა
65	T37-T64, W57, W59	სამკურნალოწამლო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლა / უპირატესად არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიკური ეფექტები / კბენა ან დანესტრვა არამზამთიანი მწერის და სხვა არამზამთიანი ფეხსახსრიანების მიერ / სხვა ქვეწარმავლების მიერ მიყენებული კბენა ან დარტყმა	ჰემოდინამიკის არასტაბილურობა, ან მისი განვითარების მაღალი რისკი, ცნობიერების დარღვევა და აირგამტარი გზების დაუცველობა / გულყრა
66	D50-D64	ალიმენტური, ჰემოლიზური, აპლაზიური და სხვა ანემიები (ღრმა ანემიები)	



67	D69	ჰურპურა და სხვა ჰემორაგიული მდგომარეობები	ჰემორაგიული დიათეზი, ღრმა თრომბოციტოპენია
68	D70	აგრანულოციტოზი	ღრმა ლეიკოპენია, ნეიტროპენია
69	G93.6	ცერებრული შეშუპება	

კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპიის ტარიფები (ლარი)

	დაყოფენება ≤ 14 ს/დ	დაყოფენება > 14ს/დ ≤ 21ს/დ	დაყოფენება > 21ს/დ ≤ 45ს/დ	დაყოფენება >45ს/დ								
				ასაკი ≥18 წელი		ასაკი < 18 წელი						
				მრავალპრო- ფილური	მონოპრო- ფილური	მრავალპრო- ფილური	მონოპრო- ფილური	მრავალპრო- ფილური	მონოპრო- ფილური			
თბილისი	I	300	210	50	240	168	180	126	90	63	105	73.5
	II-III	600	420		480	336	360	252	180	126	210	147
რეგიონი	I	240	168	≤50	192	134.4	144	100.8	72	50.4	84	58.8
	II-III	480	336		384	268.8	288	201.6	144	100.8	168	117.6
თბილისი	I	270	189	≤50	216	151.2	162	113.4	81	56.7	94	66.15
	II-III	540	378		432	302.4	324	226.8	162	113.4	189	132.3
რეგიონი	I	216	151.2	≤50	172.8	120.96	129.6	90.72	64.8	45.36	75.6	52.92
	II-III	432	302.4		345.6	241.92	259.2	181.44	129.6	90.72	151.2	105.84
ქუთაისი, ბათუმი	I	250		>50,	200		150		75		87.5	
	II-III	500		<50	400		300		150		175	

ნეონატალური ასაკის (ნეონატალურ ასაკში დაწყებული) ინტენსიური მოვლა/მკურნალობა

დაყოფენება ≤ 14 ს/დ	დაყოფენება > 14ს/დ ≤ 21ს/დ	დაყოფენება > 21ს/დ ≤ 45ს/დ	დაყოფენება >45ს/დ	
			ქრონიკული მოვლა	სხვა
I	250	200	75	87.5



	II-III	500		400	300	150	175
	თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია (1 სეანსი)				120		
	სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმა (ერთი ტრანსფუზია)				80		

ბ) გადაუდებელი მდგომარეობები:

N	ICD 10 კოდი	ნოზოლოგიის დასახელება	NCSP კოდი	ქირურგიული ჩარევის დასახელება	დაზუსტება	ტარიფი (ლარი)
1.		დიაბეტური / ათეროსკლეროზული / აეროვანი განგრენა			შშრალი განგრენა კრიტიკული იმემიით; სველი განგრენა პერიფოკალური ანთებითი რეაქციით; ცელულიტის გავრცელება; დისტანციაზე გამოხატული ინტოქსიკაცია; ინფექციის გენერალიზაციის მოვლენები; და/ან შაქრიანი დიაბეტის დეკომპენსირება, ლობობით ნეკროზული ფლემონა, ჩირქოვანი ართრიტი	
1.1.	E10.5/E11.5	ინსულინდამოკიდებული / ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, პერიფერიული ცირკულაციის მოშლით	NHSQ	ამპუტაციები კოჭ-წვივზე და ტერფზე	დიაბეტური განგრენა	1320
1.2.	E10.5/E11.5	ინსულინდამოკიდებული / ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, პერიფერიული ცირკულაციის მოშლით (დიაბეტური განგრენა)	NFSQ19	ზარბაყის ძვლის ამპუტაცია	დიაბეტური განგრენა	1815
1.3.	E10.5/E11.5	ინსულინდამოკიდებული / ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, პერიფერიული ცირკულაციის მოშლით (დიაბეტური განგრენა)	NGSQ19	წვივის ამპუტაცია	დიაბეტური განგრენა	1525
1.4.	A48.0	აეროვანი განგრენა	NFSQ19	ზარბაყის ძვლის ამპუტაცია	დადასტურებული რენტგენოლოგიურად ან ბაქტერიოლოგიურად	2000
1.5.	A48.0	აეროვანი განგრენა	NGSQ19	წვივის ამპუტაცია	დადასტურებული რენტგენოლოგიურად ან ბაქტერიოლოგიურად	1815
1.6.	A48.0	აეროვანი განგრენა	NBSQ	ბეჭის ან ზედა კიდურის არემი ამპუტაციები და მსგავსი / მონათესავე ოპერაციები	დადასტურებული რენტგენოლოგიურად ან ბაქტერიოლოგიურად	1815
1.7.	A48.0	აეროვანი განგრენა	NCSQ	წინამხარის ამპუტაცია და მსგავსი ოპერაციები	დადასტურებული რენტგენოლოგიურად ან ბაქტერიოლოგიურად	1815
1.8.	A48.0	აეროვანი განგრენა	NFSS29 / NGSS29	ზარბაყის ძვლის ინფიცირებული უბნის კვეთა და ნეკროზული ქსოვილის ამოკვეთა / მუხლის ან წვივის ძვლის ინფიცირებული უბნის კვეთა და ნეკროზული ქსოვილის ამოკვეთა	დადასტურებული რენტგენოლოგიურად ან ბაქტერიოლოგიურად კერის რადიკალური დამუშავებით – ნეკრექტომია, დრენირება	2204
2.		მენინგიტი, ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი				



2.1.	G00	ბაქტერიული მენინგიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	AASM	ოპერაციები ინტრაკრანიალური ინფექციების გამო		4290
2.2.	G03	მენინგიტი, გამოწვეული სხვა და დაუზუსტებელი მიზეზებით	DESB30	რადიკალური მასტოიდექტომია	ოტოგენური მენინგიტი (ანტრომასტოიდექტომია)	4290
2.3.	G04	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი	AASM	ოპერაციები ინტრაკრანიალური ინფექციების გამო		4290
2.4.	G04	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი	DESB30	რადიკალური მასტოიდექტომია	ოტოგენური მენინგოენცეფალიტი (ანტრომასტოიდექტომია)	4290
3. ინტრაკრანიალური, ნერვის ფსვის და წნულის დაზიანებები						
3.1.	G06.0	ინტრაკრანიალური და ინტრასპინური აბსცესი და გრანულომა	AASM	ოპერაციები ინტრაკრანიალური ინფექციების გამო		3900
3.2.	G08	ინტრაკრანიალური და ინტრასპინური ფლუბიტი და თრომბოფლუბიტი	DESB30	რადიკალური მასტოიდექტომია	სიგმოიდური სინუსის ოტოგენური თრომბოზი	4290
3.3.	G08	ინტრაკრანიალური და ინტრასპინური ფლუბიტი და თრომბოფლუბიტი		კონსერვატული მკურნალობა	სიგმოიდური სინუსის ოტოგენური თრომბოზი	2650
3.4.	G91	ჰიდროცეფალია	AASF00	ვენტრიკულოსტომია	მწვავედ განვითარებული	1650
3.5.	G93.5	თავის ტვინის კომპრესია	AASB	ქალასშიდა დაზიანების ამოკვეთა და განადგურება		3700
3.6.	G93.6	ცერებრული შეშუპება	AAS	ქირურგიული ჩარევა ქალაზე და ქალასშიდა სტრუქტურებზე	დეკომპრესიული ტრეპანაცია	3200
3.7.	I60	სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა	AASB30 AASC00 AASC40	სპონტანური ქალასშიდა ჰემატომის ევაკუაცია ქალასშიდა ანევრიზმის ლიგატურა ქალასშიდა არტერია – ვენური ანომალიის ექსტირპაცია	ერთი ან მითითებული ჩარევების ნებისმიერი კომბინაცია (პირველ 72 საათში)	4510
3.8.	I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	AASB30 AASC00 AASC40	სპონტანური ქალასშიდა ჰემატომის ევაკუაცია ქალასშიდა ანევრიზმის ლიგატურა ქალასშიდა არტერია – ვენური ანომალიის ექსტირპაცია	ერთი ან მითითებული ჩარევების ნებისმიერი კომბინაცია	3850
4. მსხვილი სისხლძარღვების ემბოლია, თრომბოზი და გამსკდარი ანევრიზმები						
4.1.	I71.0	აორტის განშრევა (ნებისმიერი უბანი) (აორტის განშრევადადი ანევრიზმა (გამსკდარი) (ნებისმიერი უბანი))	PASG / PASH	აორტის რკალის არტერიების და მათი ტოტების ანევრიზმის ოპერაცია / აორტის რკალის და მისი ტოტების შუნტირება		7235
4.2.	I71.1	გულმკერდის აორტის ანევრიზმა (გამსკდარი)	PASG / PASH	აორტის რკალის არტერიების და მათი ტოტების ანევრიზმის ოპერაცია / აორტის რკალის და		7000



				მისი ტოტების შუნტირება		
4.3.	I71.3	მუცლის აორტის ანევრიზმა, გამსკდარი	PDXT5Y	აორტის პროთეზირება აორტის ანევრიზმის გამო		7000
4.4.	I71.5	თორაკო-აბდომინალური აორტის ანევრიზმა, გასკდომით	PDXT5Y	აორტის პროთეზირება აორტის ანევრიზმის გამო		7700
4.5.	I71.8	აორტის ანევრიზმა დაუზუსტებელი ლოკალიზაციის, გასკდომით	PDXT5Y	აორტის პროთეზირება აორტის ანევრიზმის გამო		7000
4.6.	I72	ანევრიზმების სხვა ფორმები, გამსკდარი	PDXT5Y	აორტის პროთეზირება აორტის ანევრიზმის გამო		7000
4.7.	I74.0	მუცლის აორტის ემბოლია და თრომბოზი	PDSE10 / PDXT5Y	თრომბექტომია ან ემბოლექტომია ინფარქტული მუცლის აორტიდან / აორტის პროთეზირება		6600
4.8.	I74.1	აორტის სხვა დაუზუსტებელი უბნის ემბოლია და თრომბოზი	PDSE/ PDXT5Y	თრომბექტომია ან ემბოლექტომია ინფარქტული მუცლის აორტიდან და თემოს არტერიებიდან / აორტის პროთეზირება		6600
4.9.	I74.2	ზემო კიდურების არტერიების ემბოლია და თრომბოზი	PBSE	თრომბექტომია ან ემბოლექტომია ზემო კიდურების არტერიებიდან		1980
4.10.	I74.2	ზემო კიდურების არტერიების ემბოლია და თრომბოზი	PXXX22	სისხლმარღვშიდა არტერიული თრომბოლიზისი		1900
4.11.	I74.3	ქვემო კიდურების არტერიების ემბოლია და თრომბოზი	PESE10	თრომბექტომია ან ემბოლექტომია ზარდაყის არტერიიდან		1980
4.12.	I74.3	ქვემო კიდურების არტერიების ემბოლია და თრომბოზი	PXXX22	სისხლმარღვშიდა არტერიული თრომბოლიზისი		2100
4.13.	I74.5	თემოს არტერიის ემბოლია და თრომბოზი	PDSE30	თრომბექტომია ან ემბოლექტომია თემოს არტერიიდან		1980
4.14.	I74.5	თემოს არტერიის ემბოლია და თრომბოზი	PXXX22	სისხლმარღვშიდა არტერიული თრომბოლიზისი		2225
4.15.	I74.8	სხვა არტერიების ემბოლია და თრომბოზი	PFSE	თრომბექტომია ან ემბოლექტომია მუხლქვეშა არტერიიდან, წვივისა და ტერფის არტერიებიდან		1980
4.16.	I74.8	სხვა არტერიების ემბოლია და თრომბოზი	PXXX22	სისხლმარღვშიდა არტერიული თრომბოლიზისი		1769
4.17.	I82.2	ღრუ ვენის ემბოლია და თრომბოზი	PHSE30	თრომბექტომია ქვემო ღრუ ვენიდან		2550
4.18.	I82.3	თირკმლის ვენის ემბოლია და თრომბოზი		კონსერვატული მკურნალობა		2150
4.19.	I82.9	დაუზუსტებელი ვენის ემბოლია და თრომბოზი		კონსერვატული მკურნალობა		1530



5.	ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები					
5.1.	H70.0	მწვავე მასტოიდიტი	DESB10	ატაკო-ანტრო-მასტოიდექტომია	ანტრომასტოიდექტომია	1440
5.2.	J01	მწვავე სინუსიტი		კონსერვატული მკურნალობა	რინოგენური ინტრაკრანიალური და ორბიტალური გართულება	580
5.3.	J36	პერიტონზილური აბსცესი	ENSA32	ხახის ღრმა ინფიცირებული კერის გაკვეთა	აბსცესის გაკვეთა, დრენირება	410
5.4.	J38.6	ხორხის მწვავე სტენოზი	GBSB00	ტრაქეოსტომია		393
5.5.	J39.0	რეტროფარინგეული და პარაფარინგეული აბსცესი	ENSA	ხახის და ახლომდებარე სტრუქტურების გაკვეთა	აბსცესის გაკვეთა, დრენირება	388
5.6.	R04.0	ცხვირიდან სისხლდენა	DHSF20	ცხვირის უკანა წილის ტამპონადა		210
6.	ყბა-სახის დაავადებები					
6.1.	K12.2	პირის ღრუს ფლეგმონა და აბსცესი	EDSA00 ან EESA00	ქვედა ყბის გაკვეთა ან ზედა ყბის გაკვეთა	ჩირქგროვის გახსნა, დრენირება, საჭიროების შემთხვევაში, კბილის ექსტრაქცია	729
6.2.	K12.2	პირის ღრუს ფლეგმონა და აბსცესი	QASA10 და EHSA00 ან/და ENSA00 ან/და ECSA99 ან/და ENSA32 ან/და EJSA00	თავის და კისრის კანის გაკვეთა და სასის გაკვეთა ან/და ხახის შინაგანი გაკვეთა ან/და ღრმის ან ალვეოლუსების სხვა სახის გაკვეთა და ამოკვეთა ან/და ხახის ღრმა ინფიცირებული კერის გაკვეთა ან/და ენისა და პირის ღრუს ფსკერის გაკვეთა	პირის ღრუს (ფსკერის) უჯრედის ფლეგმონა/ სუბმანდიბულარული აბსცესი და ფლეგმონა/ ყბაყურა-სადეჭი მიდამოს ფლეგმონა/ რეტრობულბარული აბსცესი/ფრთა-სასის ფოსოს და საფეთქლის მიდამოს ფლეგმონა/ ხახის გვერდითი კედლის ფლეგმონა/ ენის ძირის ფლეგმონა ჩირქგროვის გახსნა დრენირება, საჭიროებისას კბილის ამოღება	1700
7.	სისხლდენა, პერფორაცია					
7.1.	I85.0 I86.4 I98.2	საყლაპავის ვარიკოზი სისხლდენით / კუჭის ვენის ვარიკოზი/საყლაპავის ვენების ვარიკოზი იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუმბრიკებში	JCSA / JDSA	ლოკალური ოპერაციები საყლაპავზე / ლოკალური ოპერაციები კუჭზე	პორტული ჰიპერტენზია	1310
7.2.	K22.6	გასტრო-ეზოფაგური გასკდომის სინდრომი სისხლდენით	JDSA00	გასტროტომია		1600
7.3.	K22.6	გასტრო-ეზოფაგური გასკდომის სინდრომი სისხლდენით		ეზოფაგოგასტრორაფია		2280



7.4.	K25 / K26 / K27 / K92.2	კუჭის წყლული / თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული / პეპტიკური წყლული დაუზუსტებელი / გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი	JDS	კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ქირურგია	გართულებული სისხლდენით, / პერფორაციით პერფორირებული წყლულის გაკერვა, სისხლმდენი წყლულის ამოკერვა ჰემოსტაზი	1980
7.5.	K25 / K26 / K27 / K92.2	კუჭის წყლული / თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული / პეპტიკური წყლული დაუზუსტებელი / გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი	JDS	კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ქირურგია	გართულებული სისხლდენით / დეკომპენსირებული პილოროსტენოზით / პერფორაციით კუჭის რეზექცია ან ორგანოს დამზოგველი ოპერაცია (JDSH63-პილოროპლასტიკა/თორმეტგოჯა ნაწლავის პლასტიკური ოპერაციები / JDSG- ვაგოტომია)	2650
7.6.	K25 / K26 / K27 / K92.2	კუჭის წყლული / თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული / პეპტიკური წყლული დაუზუსტებელი / გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი		კონსერვატული მკურნალობა	გართულებული სისხლდენით	1028
8.	გაუვალობა					
8.1.	K56.1 / K56.2 / K56.3 / K56.4 / K56.5 / K56.6	ნაწლავთა ჩაჭედვა (ინვაგინაცია) / ნაწლავის შემოგრება / გაუვალობა, გამოწვეული ნაღვლოვანი კენჭით / ნაწლავის სანათურის სხვა ფორმის დახშობა / ნაწლავის შეხორცებები (ჭიმები) ნაწლავის გაუვალობით / სხვა და დაუზუსტებელი ნაწლავის ობსტრუქცია	JFSB60 JFSB63 JFSC10 JFSC20 JFSC30 JFSD96 JFSF23 JFSF26 JFSF30 JFSA70 JFSA73 JFSB00 JASP00 JFSK10 JFSK20 JFSL	სიგმოიდური ნაწლავის რეზექცია და კოლოსტომის დადება მსხვილი ნაწლავის სხვა რეზექციები პროქსიმალური კოლოსტომის დადებით და დისტალური ნაწილის გაკერვით (პარტმანის ტიპის) ილევოტრანსვერზოსტომია (ნაწლავის რეზექციის გარეშე) სხვა სახის ენტეროკოლოსტომები (შემოვლითი ანასტომოზები) კოლო-კოლოსტომია სხვა სახის Bypass (შემოვლითი ოპერაციები ნაწლავებზე) ტრანსვერზოსტომია სიგმოიდოსტომა სხვა სახის კოლოსტომები წვრილი ნაწლავის გაკერვა წვრილი ნაწლავის დაზიანებული უბნის ამოკვეთა წვრილი ნაწლავის ნაწილობრივი რეზექცია შეხორცების მოცილება მუცლის ღრუდან ადჰეზიური კონგლომერატის/ შეხორცებების გამოცალკევება ინტესტინური ობსტრუქციის დროს შეხორცებების მოცილება და წვრილი ნაწლავის მიერთება ოპერაციები ინტესტინური ობსტრუქციის გამო რეზექციების ან ადჰეზიური კონგლომერატის /შეხორცებების ამოღების გარეშე	მითითებული ჩარევების ნებისმიერი კომბინაცია, გარდა დამოუკიდებლად 8.2. პუნქტით განსაზღვრული ჩარევების კომბინაციისა	2450



8.2.	K56.1/ K56.2 / K56.3 / K56.4 / K56.5 / K56.6	ნაწლავთა ჩაჭედვა (ინვაგინაცია) / ნაწლავის შემოგრება / გაუვლობა, გამოწვეული ნადვლოვანი კენჭით / ნაწლავის სანათურის სხვა ფორმის დახშობა / ნაწლავის შეხორცებები (ჭიმები) ნაწლავის გაუვლობით / სხვა და დაუზუსტებელი ნაწლავის ოხსტრუქცია	JASP00 JFSK10 JFSK20 JFSL	სინექიოლიზი (ჭიმების მოშორება) შეხორცების მოცილება მუცლის ღრუდან ადჰეზიური კონგლომერატის/ შეხორცებების გამოცალკეება ინტესტინური ოხსტრუქციის დროს შეხორცებების მოცილება და წვრილი ნაწლავის მიერთება ოპერაციები ინტესტინალური ოხსტრუქციის გამო რეზექციის ან ადჰეზიური კონგლომერატის / შეხორცებების ამოღების გარეშე	ნაწლავის განგრენის გარეშე ერთი ან მითითებული ჩარევების წებისმიერი კომბინაცია	1815
9.	თიარქარი განგრენით /განგრენის გარეშე					
9.1.	K40.0	ორმხრივი საზარდულის თიარქარი, გაუვლობით განგრენის გარეშე	JASB/JASD	საზარდულის თიარქარის აღდგენითი ოპერაციები/ ჩაჭედილი თიარქარის აღდგენითი ოპერაციები		1466
9.2.	K40.1	ორმხრივი საზარდულის თიარქარი, განგრენით	JASB/JASD JFSA	საზარდულის თიარქარის აღდგენითი ოპერაციები/ჩაჭედილი თიარქარის აღდგენითი ოპერაციები ლოკალური ოპერაციები ნაწლავებზე		1565
9.3.	K40.3	ცალმხრივი ან დაუზუსტებელი საზარდულის თიარქარი გაუვლობით განგრენის გარეშე	JASB/JASD	საზარდულის თიარქარის აღდგენითი ოპერაციები/ ჩაჭედილი თიარქარის აღდგენითი ოპერაციები		1140
9.4.	K40.4	ცალმხრივი ან დაუზუსტებელი საზარდულის თიარქარი, განგრენით	JASB/JASD JFSA	საზარდულის თიარქარის აღდგენითი ოპერაციები/ჩაჭედილი თიარქარის აღდგენითი ოპერაციები ლოკალური ოპერაციები ნაწლავებზე		1337
9.5.	K40.9	ცალმხრივი ან დაუზუსტებელი საზარდულის თიარქარი გაუვლობის ან განგრენის გარეშე	JASB/JASD JASL30 JASW96	საზარდულის თიარქარის აღდგენითი ოპერაციები/ჩაჭედილი თიარქარის აღდგენითი ოპერაციები; ომენტექტომია (ბადექონის ამოკვეთა); სხვა ოპერაციები მუცლის კედელზე, ჯორჯალზე, პერიტონეუმზე და ბადექონზე	ბადექონის ნეკროზის გამო ჩაჭედვის შემთხვევაში	1031
9.6.	K41.4	ცალმხრივი ან დაუზუსტებელი ბარძაყის თიარქარი განგრენით	JASC /JASD JFSA	ბარძაყის თიარქარის აღდგენითი ოპერაციები / ჩაჭედილი თიარქარის აღდგენითი ოპერაციები ლოკალური ოპერაციები ნაწლავებზე		1373
9.7.	K42.1	ჭიპის თიარქარი განგრენით	JASF/JASD	ჭიპის თიარქარის აღდგენითი ოპერაციები/ჩაჭედილი თიარქარის აღდგენითი ოპერაციები		1375



			JFSA	ლოკალური ოპერაციები ნაწლავებზე (ჩვენების შესაბამისად)		
9.8.	K43.1	მუცლის წინა კედლის თიაქარი განგრენით	JASG/JASD JFSA	სხვა სახის თიაქრების და მუცლის კედლის ალდგენითი ოპერაციები/ჩაჭედილი თიაქრის ალდგენითი ოპერაციები ლოკალური ოპერაციები ნაწლავებზე (ჩვენების შესაბამისად)		1480
9.9.	K44.1	დიაფრაგმული თიაქარი განგრენით	GASG JFSA	ტრანსთორაკალური და თორაკოსკოპიული ოპერაციები დიაფრაგმაზე ლოკალური ოპერაციები ნაწლავებზე		2373
10.	მწვავე აპენდიციტი					
10.1.	K35.8	მწვავე აპენდიციტი სხვა და დაუზუსტებელი	JESA00/ JESA10	აპენდექტომია / აპენდექტომია დრენირებასთან ერთად	გართულებების გარეშე	770
10.2.	K35.8	მწვავე აპენდიციტი სხვა და დაუზუსტებელი	ZXZA00	კონსერვატული მკურნალობა, ტკივილის მკურნალობისთვის	პერიაპენდიკულარული ინფილტრატი	800
10.3.	K35.3	მწვავე აპენდიციტი ლოკალიზებული პერიტონიტით	JESA10	აპენდექტომია დრენირებასთან ერთად	პერიაპენდიკულარული აბსცესი ან დაჩირქებული პერიაპენდიკულარული ინფილტრატი	1150
10.4.	K35.2	მწვავე აპენდიციტი გენერალიზებული პერიტონიტით	JESA10 JASK	აპენდექტომია დრენირებასთან ერთად/პერიტონეუმის დრუს დრენირება და გამორეცხვა		2450
11.	მწვავე პერიტონიტი					
11.1.	K65.0 / K65.8 / K65.9	მწვავე პერიტონიტი / პერიტონიტის სხვა სახეები / პერიტონიტი დაუზუსტებელი	JASH00 JASK	ლაპაროტომია პერიტონეუმის დრუს დრენირება და გამორეცხვა	ჩირქოვანი რეაქტიული სტადია (პირველი 24 საათი)	2069
11.2.	K65.0 / K65.8 / K65.9	მწვავე პერიტონიტი / პერიტონიტის სხვა სახეები / პერიტონიტი დაუზუსტებელი	JASH00 JASK	ლაპაროტომია პერიტონეუმის დრუს დრენირება და გამორეცხვა	ჩირქოვანი ტოქსიკური სტადია (25 -72 საათი)	2450
11.3.	K65.0 / K65.8 / K65.9	მწვავე პერიტონიტი / პერიტონიტის სხვა სახეები / პერიტონიტი დაუზუსტებელი	JASH00 JASK	ლაპაროტომია პერიტონეუმის დრუს დრენირება და გამორეცხვა	ჩირქოვანი ტერმინალური სტადია (72 საათი და მეტი)	2600
11.4.	K65.0 / K65.8 / K65.9	მწვავე პერიტონიტი / პერიტონიტის სხვა სახეები / პერიტონიტი დაუზუსტებელი	JASH00 JASK JFS JKSA20	ლაპაროტომია, გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია პერიტონეუმის დრუს დრენირება და გამორეცხვა ნაწლავების ქირურგია ქოლეცისტექტომია	ჩირქოვანი რეაქტიული სტადია (პირველი 24 საათი); ორგანოზე ჩარევით (არ იგულისხმება აპენდექტომია და ულცეროზოზა)	2450
				ლაპაროტომია, გამომწვევი		



11.5.	K65.0 / K65.8 / K65.9	მწვავე პერიტონიტი / პერიტონიტის სხვა სახეები / პერიტონიტი დაუზუსტებელი	JASH00 JASK JFS JKSA20	მიზეზის ლიკვიდაცია პერიტონეუმის ღრუს დრენირება და გამორეცხვა ნაწლავების ქირურგია ქოლეცისტექტომია	ჩირქოვანი ტოქსიკური სტადია (25 -72 საათი) ორგანოზე ჩარევით (არ იგულისხმება აპენდექტომია და ულცეროზაფია)	2463
11.6.	K65.0 / K65.8 / K65.9	მწვავე პერიტონიტი / პერიტონიტის სხვა სახეები / პერიტონიტი დაუზუსტებელი (ჩირქოვანი)	JASH00 JASK JFS JKSA20	ლაპაროტომია, გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია პერიტონეუმის ღრუს დრენირება და გამორეცხვა ნაწლავების ქირურგია ქოლეცისტექტომია	ჩირქოვანი ტერმინალური სტადია (72 საათი და მეტი) ორგანოზე ჩარევით (არ იგულისხმება აპენდექტომია და ულცეროზაფია)	2550
11.7.	K80.0 / K81.0	ნაღვლის ბუშტის ქვები მწვავე ქოლეცისტიტით (გაფონვით გავრცელებული პერიტონიტი (ნაღვლოვანი)) / მწვავე ქოლეცისტიტი (ნაღვლის ბუშტის აბსცესი, განგრუნული, ჩირქოვანი ქოლეცისტიტი, ნაღვლის ბუშტის ემპიემა)	JKSA20	ქოლეცისტექტომია		1530
